საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბიჯნისი

ბიჯნისი**,** სოფელი ხაშურის მუნიციპალიტეტის დაბა სურამის ტერიტორიულ ორგანოში (შიდა ქართლის რეგიონი), ლიხის ქედის აღმ. კალთაზე, მდ. შუქღელის (სურამულის მარცხ. შენაკადი) ნაპირზე. ზ. დ. 800 *მ*, ხაშურიდან 8 *კმ*, სურამიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 5 *კმ*. 268 მცხ. (2014).

სოფელი მოხსენიებული აქვს ვახუშტი ბატონიშვილს (XVIII ს.). XVII ს. საბუთის მიხედვით, ბ-ში ერეკლე I-მა იესე რუსიშვილს და მის შვილებს მათივე ნაქონი ყმა-მამული უბოძა. 1865 ბ. თავისი 4 კომლი მოსახლით სურამის უბნის იტრიის სასოფლო თემში შედიოდა.

დ. სვანიძე

ჯ. გვასალია